

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ოქტომბრის №01-06/17
მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. დაბა ქედაში, ტბელ აბუსერიძისა და ვაჟა ფშაველას ქუჩების გადაკვეთის ტერიტორიაზე, პროფესორ ვახტანგ პაპუნძის ბიუსტის განთავსების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2022 წლის -- ოქტომბერი
დაბა ქედა

დაბა ქედაში, ტბელ აბუსერიძისა და ვაჟა ფშაველას ქუჩების გადაკვეთის ტერიტორიაზე,
პროფესორ ვახტანგ პაპუნძის ბიუსტის განთავსების შესახებ

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 06 ნოემბრის №25 დადგენილებისა და ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2022 წლის 09 აგვისტოს №დ95.95222212 დასკვნის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. განთავსდეს პროფესორ ვახტანგ პაპუნძის ბიუსტი დაბა ქედაში, ტბელ აბუსერიძისა და ვაჟა ფშაველას ქუჩების გადაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ბიუსტის დამზადებისა და განთავსების ხარჯები განხორციელდება საინიციატივო ჯგუფის მიერ.

3. ეთხოვოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს (როლანდი ბერიძეს), უზრუნველყოს ბიუსტის განთავსების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

4. განკარგულების შესრულებაზე კონტროლი უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ (კომისიის თავმჯდომარე - ოთარ ხარაძე).

5. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

დაბა ქედაში, ტბელ აბუსერიძისა და ვაჟა ფშაველას ქუჩების გადაკვეთის ტერიტორიაზე, პროფესორ ვახტანგ პაპუნძის ბიუსტის განთავსების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (განკარგულება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი და „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 06 ნოემბრის №25 დადგენილება, რომელთა საფუძველზე სამართლებრივად რეგულირდება მუნიციპალიტეტის საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის, მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) განთავსების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

აქტის მიღების მიზანია მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე პროფესორ ვახტანგ პაპუნძის საზოგადოებრივი საქმიანობის, დამსახურებისა და ღვაწლის დაფასება.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია, „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 06 ნოემბრის №25 დადგენილების შესაბამისად მიიღოს გადაწყვეტილება ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) განთავსების თაობაზე, თვალსაჩინო ისტორიული პიროვნებების, ეროვნული გმირების, მწერლების, გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწეების, ან/და ქვეყნისა და ერის წინაშე განსაკუთრებული ღვაწლის მქონე პიროვნებების სახელის ხსოვნისა და უკვდავყოფის ან ისტორიული მოვლენის (ფაქტის) ხსოვნისა და უკვდავყოფის მიზნით.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ, კომისიის სხდომაზე განიხილა და მიზანშეწონილად მიიჩნია საინიციატივო ჯგუფის მიერ ინიცირებული საკითხი - „დაბა ქედაში, ტბელ აბუსერიძისა და ვაჟა ფშაველას ქუჩების გადაკვეთის ტერიტორიაზე, პროფესორ ვახტანგ პაპუნძის ბიუსტის განთავსების შესახებ“, ინიცირებული და განხილული იქნას საკრებულოს სხდომაზე. ბიუსტის დამზადებისა და განთავსების ხარჯები განხორციელდება საინიციატივო ჯგუფის მიერ, ხოლო ტერიტორიის კეთილმოწყობის, არქიტექტურული გეგმიური გადაწყვეტის, ადგილმდებარეობის რეკონსტრუქციის და სხვა რიგი კეთილმოწყობითი სამუშაოებისთვის თანხის მობილიზება მიზანშეწონილია ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

წარმოგიდგენთ ინიციატივას „დაბა ქედაში, ტბელ აბუსერიძისა და ვაჟა ფშაველას ქუჩების გადაკვეთის ტერიტორიაზე, პროფესორ ვახტანგ პაპუნაძის ბიუსტის განთავსების შესახებ“.

ბ) ინდივიდუალური აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ინდივიდუალური აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან:

ინდივიდუალური აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

დ) ინდივიდუალური აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ინდივიდუალური აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.ბ) ინდივიდუალური აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ინდივიდუალური აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ინდივიდუალური აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ინდივიდუალური აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ოთარ ხარაძე

ზ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია.